

მიხეილ ჯავახიშვილის თეატრალური წერილები

გიორგაძე ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
<https://doi.org/10.52340/idw.2025.46>

აბსტრაქტი. მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ ლიტერატურაში თავის დამსახურებულ ადგილს, უპირველეს ყოვლისა, პროზაიკოსის სახელით იმკვიდრებს. სამწუხაროდ, ნაკლებადაა შესწავლილი მისი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა. კერძოდ, იშვიათად ხდება მისი წერილებისა და რეცენზიების იმ ნაწილის სამეცნიერო განხილვა, სადაც თეორიული და პრაქტიკული კუთხით არის გაანალიზებული სცენისა და თეატრის საკითხები.

ჯავახიშვილის თეატრალური ნაშრომები, რომელთა ფარგლებშიც ახდენს იმდროინდელი თეატრალური მოვლენების სისტემურ განხილვას და დრამატურგიის განვითარების კრიტიკულ ანალიზს, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს, როგორც ეროვნული თეატრალური აზროვნების ფორმირების პროცესის შესასწავლად, ისე ქართული კულტურული წარსულის კომპლექსური გააზრებისთვის.

მიხეილ ჯავახიშვილის წერილები წარმოადგენენ ღრმა კრიტიკული ანალიზის ნიმუშებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც მსახიობის პროფესიონალიზმს, ასევე მსახიობური ოსტატობისა და სცენური გარდასახვის მრავალწახნაგოვან ასპექტებს. ავტორი გულდასმით განიხილავს როლის ინტერპრეტაციის თავისებურებებსა და რეჟისორული ხედვის ინტეგრაციას სპექტაკლში. ამასთანავე, მისი კრიტიკული წერილები ხშირად ამხელენ ქართული დრამატურგიის სისუსტეებს-ხელოვნურად აგებულ დიალოგებს, ზედაპირულ და შაბლონურ სიუჟეტურ ხაზებს.

მიხეილ ჯავახიშვილის თეატრალური წერილების ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი ინტერესი სცილდება თეატრის, როგორც სანახაობის უბრალო შეფასებას და მიმართულია თეატრის, როგორც ეროვნული და კულტურული ფენომენის არსებითი მნიშვნელობისკენ. ჯავახიშვილის წერილები და მოკლე რეცენზიები აყალიბებს თეატრალური კრიტიკის ისეთ ტრადიციას, რომელიც ერთიანობაში მოიცავს როგორც ეროვნული ცნობიერების, ისე ევროპული თეატრალური მემკვიდრეობის გააზრებას.

საკვანძო სიტყვები: მიხეილ ჯავახიშვილის სათეატრო წერილები, „ქართული წარმოდგენა“, „ქართული ენა ქართულ თეატრში“

ქართული პუბლიცისტიკისა და თეატრალური კრიტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანია მიხეილ ჯავახიშვილის წვლილი. მწერლის მხატვრულ მემკვიდრეობას არ აკლია არც ობიექტური შემფასებელი და არც ტენდენციურად განწყობილი კრიტიკა. თუმცა, გაცილებით ნაკლებადაა შესწავლილი თეატრალური წერილები, რომლებიც მნიშვნელოვან შტრიხებს ქმნიან მიხეილ ჯავახიშვილის ინტელექტუალური და შემოქმედებითი პორტრეტისათვის.

ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში მიხეილ თუმანიშვილი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც საფუძველი დაუდო თეატრალური კრიტიკის ტრადიციას. მიხეილ თუმანიშვილის წერილებში თეატრი განიხილება არა მხოლოდ სანახაობრივი თვალსაზრისით, არამედ როგორც მნიშვნელოვანი ეროვნული დატვირთვის მქონე კულტურული ინსტიტუცია. ეს არ ნიშნავდა ეროვნული თეატრის

იზოლაციაში მოაზრებას, მხოლოდ საკუთარ ნაჭუჭსა და სივრცეში გამოკეტვას. პირიქით, ევროპული თეატრის ტრადიციების კვალდაკვალ განიხილავდა ქართული სასცენო ხელოვნების განვითარებას. რაც ბუნებრივად აღიქმებოდა ხიდად ტრადიციასა და სიახლეს შორის.

მიხეილ თუმანიშვილის წერილებმა არა მხოლოდ იმ დროის თეატრალურ ცხოვრებაზე მოახდინა გავლენა, არამედ მომავალ თაობებსაც დაუტოვა პროფესიული აზროვნების სტანდარტები. მისი წერილები საფუძვლად დაედო ანალიტიკური თეატრალური კრიტიკის ტრადიციას, რომელმაც შემდგომ წლებში თანმიმდევრულად განაგრძო განვითარება როგორც თეატრალურ სივრცეში, ასევე სალიტერატურო დისკურსში.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულება თეატრისადმი, რომლის პუბლიცისტიკა გამოირჩევა აკადემიური სიღრმისეულობით. წერილები მკაფიოდ წარმოაჩენს მის ინტერესს თეატრისადმი და კონცეპტუალურ ხედვას ქართული თეატრის განვითარების შესახებ. ჯავახიშვილისთვის თეატრი არ არის მხოლოდ ესთეტიკური განზომილების მქონე სივრცე-ის არის ეროვნული თვითმყოფადობის, კულტურული ღირებულებებისა და ეთიკური იდეალების ტრიბუნა. მიხეილ ჯავახიშვილი სრულიად დასაბუთებულად შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ გამორჩეულ და პრინციპულ კრიტიკოსად ქართულ თეატრალურ სივრცეში.

მიხეილ ჯავახიშვილის სათეატრო წერილებიდან უპირველესად შევხებით წერილს „ჩვენ და ჩვენი თეატრი“, რომელიც 1903 წელს სამ ნაწილად გამოქვეყნდა გაზეთში „ცნობის ფურცელი.“

მიხეილ ჯავახიშვილი აღნიშნულ წერილში გამოხატავს თავის სევდასა და ტკივილს ქართული თეატრის მდგომარეობის გამო. მისი უმთავრესი საწუხარია, რომ ქართული თეატრი თავისი არსით ვერ ასრულებს უმთავრეს როლს-ეროვნული კულტურისა და აზროვნების ამაღლების მისიას. მაყურებელთან ვერ ქმნის ემოციურ და ინტელექტუალურ კომუნიკაციას.

„დრო მიდიოდა. მე ვიზრდებოდი და თანდათან ჩემს მასწავლებელს-თეატრსაც ვემშვიდობებოდი. მე მოვითხოვე, მაგრამ ამაოდ,-თეატრმა საქართველოს სიყვარულის მეტი აღარაფერი მომცა. რამდენჯერმე ტფილისელი სომეხი ვაჭარი, ავლაბრელი კინტო, მაჭანკალი და კიდევ ქართველი დედის მსგავსი რაღაცა მაჩვენა და...მეტი არაფერი. ამით გათავდა ჩვენი სიყვარული. მე ჩემს ბელადს-თეატრს გავუსწარი და ჩვენ ერთმანეთისა აღარა გვესმის -რა. ჩვენ ერთმანეთისთვის უცხონი ვართ. ჩემთვის ქართული თეატრი თურმე ანბანის მასწავლებელი ყოფილა და მეტი არაფერი.“(ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ.7).

აღნიშნული მონაკვეთი ნათლად ასახავს ავტორის დამოკიდებულებას. თეატრი, რომელიც ახალგაზრდობის წლებში დიდ მოლოდინებს აღძრავდა, რეალობაში დარჩა მხოლოდ საწყის საფეხურად-„ანბანის მასწავლებლად“, რომელიც ვერ უქმნის საზოგადოებას სულიერი სრულყოფისათვის საჭირო სივრცეს.

„ჩვენ და ჩვენი თეატრი“ გამოირჩევა მაღალი ესთეტიკური და ზნეობრივი სტილით. ავტორის სიტყვები კონკრეტულად თეატრალური სფეროს არცერთი წარმომადგენლისკენ არ არის მიმართული. წერილი უფრო ზოგად, ეროვნული კულტურის კრიზისს ეხება. სწორედ ეს კრიტიკული, მაგრამ ღრმად ჰუმანური ტონი ანიჭებს ტექსტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას:

„ჩვენ ვამბობთ: „ხელოვნება ეროვნულ ჩარჩოში უნდა ჩაისვას“ და არა შოვინისტურ ორმოში. ეროვნული ხელოვნებიდან შოვინისტურ ხელოვნებამდე

უსაზღვრო სივრცეც არის და ერთი ნაბიჯიც. ჩვენის აზრით, ძალიან შორს არის, პატივცემულ ქართველის და ამხ. -ს აზრით კი არაფერი განსხვავებაა. მართალია, ხელოვნების პირველი, უმთავრესი და უკანასკნელი კანონი „სრული თავისუფლება“-მეთქი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ ბავშვურ და ანბანურ პიესას ნება აქვს აბელას ფეხზე შედგეს, სცენაზე გამოვიდეს და ოთხი საათის განმავლობაში მაყურებელი აწვალოს“(ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ.10).

ამ ფრაგმენტში ავტორი მკაფიოდ განასხვავებს ნამდვილ ეროვნულ ხელოვნებას და ფსევდო-ეროვნულ, შოვინისტურ მიდგომებს, სადაც უგულებელყოფილია ესთეტიკურ-ზნეობრივი ღირებულებები.

მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტური წერილი „ჩვენ და ჩვენი თეატრი“ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია როგორც ქართული თეატრის კრიტიკის, ასევე ეროვნული კულტურის განვითარებისთვის. ტექსტი აერთიანებს თეატრის ესთეტიკურ და ზნეობრივ შეფასებას, ეროვნული თვითშეგნების საკითხებსა და ხელოვნების როლის გააზრებას საზოგადოებაში. წერილი დღესაც აქტუალურია, რადგან გვიჩვენებს თეატრის არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ სულიერ და ზნეობრივ დანიშნულებას.

საყოველთაოდ ცნობილია მიხეილ ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. აღნიშნული საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი. ჯავახიშვილი მრავალმხრივად, მრავალგვარ კონტექსტში გამოთქვამს თვალსაზრისს აღნიშნულ პრობლემატიკაზე. თეატრალური წერილებიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. მიხეილ ჯავახიშვილისთვის თეატრი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპარეზია სალიტერატურო ენისთვის. მისი აზრით, თეატრში ენა არ არის მხოლოდ ლიტერატურული ტექსტის გადმოცემის საშუალება. იგია ცოცხალი, უმეცდომო მეტყველების ნიმუში, რომელიც საზოგადოებრივ მეტყველებას აყალიბებს და ლიტერატურულ სტანდარტებს განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია წერილი „ქართული ენა ქართულ თეატრში“, სადაც ავტორი თეატრს სალიტერატურო ენის სკოლად მიიჩნევს. ჯავახიშვილი მწვავედ აკრიტიკებს სცენაზე დამკვიდრებულ არასრულფასოვან მეტყველებასა და ენობრივი ნორმებისთვის მიუღებელ გამოთქმებს:

„ქართულ თეატრში ნამდვილ ქართულ ენისა და ქართულ კილოს მაგივრათ ყოველნაირ კილოსა და გამოთქმას გაიგონებთ. ერთი ჩოხატაურულათ უქცევს, მეორე შორაპნულათ, მესამე-ქართულათ(და არა ქართულად) და მეოთხე -რუსულათ. მაგრამ კილოს ვიღა ჩივის, საანბანო გრამატიკული კანონებიც კი არ სწამთ და ყოველ ნაბიჯზე ისეთს შეუსაბამობას წამოისვრიან ხოლმე, რომ ქართულ ენის მოყვარულს ორივე თითი მუდამ მზათ უნდა ჰქონდეს ყურების დასაცობათ“(ჯავახიშვილი, ტ. VII. გვ. 9).

მწერალს ღრმად სწამს, რომ სალიტერატურო ენა განსაზღვრავს კულტურის ხარისხს, განათლებისა და განვითარების დონეს. ამიტომაც ებრძვის სცენაზე ქართული ენის ხარვეზებს-გაუმართავ მეტყველებას, სუფთა გამოთქმის უგულებელყოფას, უცხო სიტყვების არასაჭიროებისამებრ გამოყენებას.

დასახელებული წერილი პირველად გამოქვეყნდა 1909 წელს, გაზ. „საქართველოს მოამბეში“, ფსევდონიმით „ალი.“

მიხეილ ჯავახიშვილის წერილები წარმოადგენენ ღრმა კრიტიკული ანალიზის ნიმუშებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც მსახიობის პროფესიონალიზმს, ასევე მსახიობური ოსტატობისა და სცენური გარდასახვის მრავალწახნაგოვან ასპექტებს. ავტორი გულდასმით განიხილავს როლის

ინტერპრეტაციის თავისებურებებსა და რეჟისორული ხედვის ინტეგრაციას სპექტაკლში. ამასთანავე, მისი კრიტიკული წერილები ხშირად ამხელენ ქართული დრამატურგიის სისუსტეებს-ხელოვნურად აგებულ დიალოგებს, ზედაპირულ და შაბლონურ სიუჟეტურ ხაზებს.

აღნიშნული კრიტიკული ხედვის თვალსაჩინო მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ორი წერილი: „სახაზინო თეატრი, ბენეფისი ნ. გაბუნია-ცაგარელისა“ და „სახაზინო თეატრი“.

პირველ შემთხვევაში მიხეილ ჯავახიშვილი საუბრობს როგორც სუსტ რეპერტუარზე, ასევე ნიჭიერი მსახიობის ნ. გაბუნია-ცაგარელის მიერ ცუდად შესრულებულ როლებზე. ავტორი მიუთითებს, რომ საზოგადოებისგან აღიარება და პატივისცემა არ უნდა იქცეს მხოლოდ ფორმალურად მიღებულ პრივილეგიად, არამედ მას თან უნდა ახლდეს მსახიობის პასუხისმგებლობა მაყურებლის წინაშე.

„როცა რომელსამე მსახიობს საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა აქვს დამსახურებული, იგი ზნეობრივად მოვალეა ამ საზოგადოებას უქველად ისეთსავე ყურადღებითა და პატივისცემით მოეპყრას, როგორც მას ეპყრობიან. ზემო ხსენებულმა ბენეფისმა ნათლად და მშვენივრად დაამტკიცა, რომ ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს ზემოხსენებული მოვალეობა არ სჯერა და ჰგონია, რომ საზოგადოება მხოლოდ თამაშის სანახავად, ტაშის დასაკვრელად და საჩუქრების მისართმევად მივიდა. საკვირველია, რა მოსაზრებით აირჩია საბენეფისოდ ქ-ნმა გაბუნიამ ყაზბეგის დაჟანგებული, დახავსებული, უშინაარსო, საშინლად გაჭიანურებული და არქივიდან ამოთრეული პიესა?“ (ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ. 47.).

ამავე რეცენზიაში ავტორი ნ. გაბუნიას კიდევ ერთი როლისთვის აკრიტიკებს. საბენეფისო პიესის არჩევაში იგი ადანაშაულებს როგორც ამხანაგობას, ასევე მსახიობს. იგი თვლის, რომ „ჩვენი ნაცნობები“ სცენები კი არა, ნამდვილი პორნოგრაფიული, უშინაარსო და ცინიკური ფარსია. ავტორს ერთად შეუგროვებია ბაზრული ოხუნჯობა, ფელდფებელური შენიშვნები, ყაზარმული სიმახვილე, აქა-იქ ჩაურთავს უშვერი, „უცენზურო“ სიტყვები, შეუკრავს „სცენებად“ და ეს მყრალი თაიგული ქ-ნ გაბუნია-ცაგარელისთვის ჩაუბარებია. იმანაც აიღო, საზოგადოებას მიართვა და იმდენი უტაქტობაც გამოიჩინა, რომ პიესიდან არ ამოშალა და წამოიძახა მყრალი სიტყვა, რომელმაც მთელი დამსწრე საზოგადოება გააწითლა“ (ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ. 48).

ჯავახიშვილის კრიტიკა გამოირჩევა პირუთვნელობითა და პროფესიული შეფასების ხარისხით. მისი მკაცრი ტონი არა სუბიექტური მიუღებლობის, არამედ ქართული თეატრის განვითარების, პროფესიული სტანდარტების ამაღლებისა და სცენური ოსტატობის სრულყოფისკენაა მიმართული. ამაზე მეტყველებს მისი მეორე წერილი: „სახაზინო თეატრი.“ თუ წინარე რეცენზიაში არის მძაფრი კრიტიკა ბენეფისი ნ. გაბუნია-ცაგარელისა, მეორე შემთხვევაში მაღალი შეფასებაა ნ. ჩხეიძისა, საბენეფისო წარმოდგენაში „როზა ბერნდი.“

„ჩვენ არ გვეგონა, რომ ნ. ჩხეიძე ამგვარ როლს ასეთის ხელოვნებით შეასრულებდა, რადგან ნ. ჩხეიძემ თავისი სახელი უფრო „მედეასა“ და სხვა ამგვარ როლების თამაშით მოიხვეჭა. ეხლა კი ამ მსახიობს გადაჭრით ვურჩევთ, გაანებოს თავი „მედეა“-სა, „უბედურ ნაბიჯსა“ და სხვა ამისთანა ნაძალადევსა და არა ხელოვნურ პიესებს და თავის რეპერტუარი განსაკუთრებით „როზა ბერნდ“-ისა, „ნორა“-სი და ამისთანა მადლიან და ხელოვნურ პიესებით შეადგინოს“ (ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ. 63).

ორივე რეცენზიაში- როგორც მძაფრი კრიტიკის, ისე დადებითი შეფასების

შემთხვევაში- კარგად ჩანს ჯავახიშვილის მაღალი პროფესიონალიზმი და მიუკერძოებელი, ობიექტური ბუნება. ორივე შეფასების მიზანი ერთია-ქართული თეატრის ხარისხობრივი განვითარება და პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება.

მიხეილ ჯავახიშვილმა 1907 წელს გაზეთ „ისარში“ ერთმანეთის მიყოლებით გამოაქვეყნა წერილები „ქართული წარმოდგენა.“ ეს გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერილების ციკლი, სადაც გაანალიზებულია იმდროინდელი ქართული თეატრის ნაკლოვანი და ღირებული მხარეები. ავტორი თითოეულ წერილში სიღრმისეულად განიხილავს კონკრეტულ დადგმებს, აქებს ან აკრიტიკებს მსახიობთა სცენურ შესაძლებლობებს, აანალიზებს მათ მიერ მაყურებელთან „ნამდვილი“, ცოცხალი სურათების მიტანის უნარს.

1907 წლის 14 ოქტომბერს დასტამბულ პირველ რეცენზიაში „ქართული წარმოდგენა“, განხილულია ორი დადგმა: „ოთარაანთ ქვრივი“ და „გლახა ჭრიალაშვილი.“

ჯავახიშვილის შენიშვნები, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მისაღებია. მისი აზრით, ქართული თეატრი მხოლოდ ტექსტზეა ორიენტირებული, ვიდრე მოქმედებაზე. მხოლოდ ტექსტის გაცოცხლება ემოციისა და მოქმედების გარეშე სპექტაკლს ზედაპირულსა და უღიმღამოს რომ ხდის, ამას მიხეილ ჯავახიშვილი შემდეგი მსჯელობითაც ადასტურებს:

„სასცენოდ გადაკეთებული „ოთარაანთ ქვრივი“ სუსტი გამოდგა. ეს ძლიერი და ხელოვნური მოთხრობა განსვენებულისა სცენაზე გადაიქცა სენტიმენტალურ ფრანგულ მელოდრამად. მოთხრობის გადამკეთებელს იგი გაუჭიმავს შვიდ სურათად, სადაც თითქმის არავითარი მოქმედება არ არის, გარდა სიტყვებისა და მოთხრობიდან ამოწერილ რეპლიკებისა. მაგრამ ამას ვინა სჩივის: მოთხრობის მთავარი გმირი-მძლავრი, ტალისავით მაგარი და შეუდრეკელი ოთარაანთ ქვრივი სცენაზე გადაიქცა ყბედ და კაპას დედაკაცად. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მოთხრობაში მისი ხასიათი გამოხატულია მოქმედებით, სცენაზე კი სიტყვებითა და მოკლე რეპლიკებით“(ჯავახიშვილი, ტ. VI . გვ.506).

ამავე წერილში პოზიტიურადაა შეფასებული „გლახა ჭრიალაშვილი“, რომელიც, ავტორის აზრით, განასახიერებს წარმატებულ შერწყმას კარგი ტექსტისა და მსახიობთა ცოცხალი, შთამბეჭდავი თამაშისა. აქ სცენა ხდება არა უბრალოდ ტექსტის ილუსტრაცია, არამედ მისი ორგანული გაგრძელება, რაც ჯავახიშვილისთვის თეატრის უმთავრესი ფუნქციაა. როგორც რეცენზენტი ამბობს, „ოთარაანთ ქვრივით“ დაღლილი და მოწყენილი საზოგადოება „გლახა ჭრიალაშვილს“ გამოუცოცხლებია.

1907 წლის 19 ოქტომბერს გაზ. „ისარის“ ნომერში გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის წერილი „ქართული წარმოდგენა („დაუპატიჟებელი“, დრ. 1 მოქ. მეტერლინკისა და „ახალი ძალა“, პიესა 4 მოქ. ლანგმანისა“). ვფიქრობთ, აღნიშნული წერილი-რეცენზიაც თავის სათქმელს ამბობს ქართული თეატროლოგიის ისტორიაში. ავტორი ამ შემთხვევაშიც ობიექტურად მკაცრია, მაგრამ მისი პოზიცია ლოგიკურია და მისაღები.

„ქართულ სცენაზე პირველად სცადეს მისტიკური სიმბოლიზმი მეტერლინკისა და პირველადვე ცივი წყალი გადაასხეს საზოგადოებას. ჩვენ კარგად ვიცოდით ძალღონე ქართველ არტისტებისა, რომელნიც განსაკუთრებით რეალიზმის პრინციპებზე არიან აღზრდილნი, და წინდაწინვე დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ისინი ვერ მოერეოდნენ მეტერლინკის პიესას. იმათ ეხერხებათ თამაში სიტყვით, მოძრაობითა და მოქმედებით, ხოლო უძლურნი არიან მაშინ, როცა საჭიროა თამაში სულით,

ნერვებითა და იმ სიჩუმით, რომელიც ხშირად სიტყვებსა და მოქმედებაზე გაცილებით უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს გალესილ ნერვებისა და ფაქიზ გრძნობის პატრონზე“ (ჯავახიშვილი, ტ. VI .გვ.507).

ჯავახიშვილი აქ მკვეთრად უსვამს ხაზს ქართველი მსახიობების არათანხვედრობას ამ ჟანრის ესთეტიკასთან. რეცენზენტი ერთდროულად გვთავაზობს როგორც პროფესიულ ანალიზს, ასევე ზუსტ დიაგნოზს-თეატრი, რომელიც მხოლოდ სიტყვაზე დაყრდნობით ცდილობს მაყურებელთან კონტაქტს ვერ მოიპოვებს აღიარებას და ვერ იქცევა ძლიერ კულტურულ ინსტიტუციად.

მიხეილ ჯავახიშვილის თეატრალური წერილების ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი ინტერესი სცილდება თეატრის, როგორც სანახაობის უბრალო შეფასებას და მიმართულია თეატრის, როგორც ეროვნული და კულტურული ფენომენის არსებითი მნიშვნელობისკენ. ჯავახიშვილის წერილები და მოკლე რეცენზიები აყალიბებს თეატრალური კრიტიკის ისეთ ტრადიციას, რომელიც ერთიანობაში მოიცავს როგორც ეროვნული ცნობიერების, ისე ევროპული თეატრალური მემკვიდრეობის გააზრებას.

ლიტერატურა:

1. ჭყოიძე, ნ.(რედ.)მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი შვიდ ტომად, წერილები, ტ. VI, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“;
2. ჭყოიძე, ნ.(რედ.)მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი შვიდ ტომად, წერილები, ტ. VII, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

Mikheil Javakhishvili's Theatrical Writings

Giorgadze Nino

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Mikheil Javakhishvili occupies his deserved place in Georgian literature, first of all, as a prose writer. Unfortunately, his journalistic, literary-critical heritage has been little studied. In particular, there is rarely a scientific discussion of that part of his letters and reviews where the issues of the stage and theater are analyzed from a theoretical and practical perspective.

Javakhishvili's theatrical works, within the framework of which he conducts a systematic discussion of the theatrical events at that time and a critical analysis of the development in dramaturgy, represent the most important primary source, both for studying the process of formation in national theatrical thought, and for a complex understanding of the Georgian cultural past.

Mikheil Javakhishvili's letters are examples of deep critical analysis, where special attention is paid to the professionalism of the actor, as well as to the multifaceted aspects of acting and stage transformation. The author carefully discusses the peculiarities of role interpretation and the integration of the director's vision into the performance. At the same time, his critical letters often expose the weaknesses of Georgian dramaturgy - artificially constructed dialogues, superficial and templated plot lines.

An analysis of Mikheil Javakhishvili's theatrical letters reveals that his interest goes beyond the simple assessment of theater as a spectacle and is directed towards the essential importance of theater as a national and cultural phenomenon. Javakhishvili's letters and short reviews establish a tradition of theatrical criticism that encompasses both national consciousness and the understanding of European theatrical heritage.

Keywords: *Mikheil Javakhishvili's theatrical letters, "Georgian performance", "Georgian language in Georgian theater"*